

დამტკიცებულია შპს „კონი აკადემის“
დირექტორის 18.02.2019 წლის N1-17 ბრძანებით
ცვლილება 2021 წლის 11 თებერვლის N1-05 ბრძანებით

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„კონი აკადემია“

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიღების წესი

ქ.თბილისი

2019 წ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 წინამდებარე წესი განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კეონი აკადემიის“ (შემდგომში აკადემიის) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიღების წესს, ფორმებსა და ზოგად პირობებს;
- 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი (პროფესიული განათლების მასწავლებელი /დარგის სპეციალისტი/ პრაქტიკის ინსტრუქტორი) კომპეტენციების შესაბამისად წარმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო პროცესს;
- 1.3 აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიღება (შერჩევა/დანიშვნა) ხორციელდება ობიექტურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის, კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით;
- 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების მქონე ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიღების პირობები

- 2.1. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის მიღება შესაძლებელია შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, აკადემიის დირექტორთან გასაუბრების შემდეგ ან/და კონკურსის შედეგების საფუძველზე;
- 2.2. ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ აკადემიის ადმინისტრაცია განათავსებს შესაბამის განცხადებას აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე;
განაცხადში განისაზღვრება:
 - 2.2.1. კრიტერიუმები (მოთხოვნები), რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონკურსანტი;
 - 2.2.2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;
 - 2.2.3. დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და პირობები;
- 2.3. საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ იმ კონკურსანტ(ებ)ის კანდიდატურებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი პირადი მონაცემები შეესაბამება გამოცხადებული ვაკანსიისათვის დადგენილ მოთხოვნებს;
- 2.4. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირითან - კონკურსანტთან კონკურსის გავლის შემდეგ, ხდება შრომითი ან/და მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება.
 - 2.4.1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - 2.4.2. ავტობიოგრაფია (CV);
 - 2.4.3. ორი ფოტო სურათი ზომათ 3X4;
 - 2.4.4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან/და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში);
 - 2.4.5. ცნობა სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლეობის შესახებ, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია, მათ შორის მოხსნილი ან/და გაქარწყლებული ნასამართლეობის შესახებ, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა;
 - 2.4.6. საჭიროებისამებრ სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).“
- 2.5. საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული პირის სამსახურში მიღება ფორმდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით;

მუხლი 3 . საკონკურსო კომისია

- 3.1. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, იქმნება საკონკურსო კომისია; აკადემიის დირექტორი საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს, შემადგენლობას ამტკიცებს ბრძანებით. კომისიას ჰყავს კომისიის მდივანი.
- 3.2. საკონკურსო კომისიის ჩატარება ფორმდება სხდომის ოქმით.
- 3.3. საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირთაგან ვინ შეიძლება გახდეს საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით;
- 3.4. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირის შერჩევის დროს, უპირატესობა ენიჭება კონკურსანტის სამუშაო გამოცდილებას/კვალიფიკაციას შესაბამის სფეროში.
- 3.5. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება კონკურსანტს შეუძლია აკადემიაში შექმნილ სააპელაციო კომისიაში;
- 3.6. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების, კონკურსანტის გასაჩივრების შემთხვევაში იგი არგუმენტირებული განცხადებით, წერილობითი სახით მიმართავს აკადემიის დირექტორს;
- 3.7. საჩივრის წერილის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში. აკადემიის დირექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია, რომელიც განიხილავს განცხადებას და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას;
- 3.8. შერჩეულ კონკურსანტთან ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

- 4.1. წინამდებარე წესი ძალაში შედის აკადემიის დირექტორის ხელმოწერის შემდეგ;
- 4.2. წინამდებარე წესში ნებისმიერი ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება აკადემიის დირექტორის მიერ გამოცემული ახალი ბრძანებით, წერილობითი ფორმით;